საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N640 2024 წლის 30 აპრილი ქ. თბილისი

„მუნიციპალიტეტებისათვის დროებითი ფინანსური დახმარების გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 29 თებერვლის №268 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, „მუნიციპალიტეტებისათვის დროებითი ფინანსური დახმარების გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 29 თებერვლის №268 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ღონისძიებების შეუფერხებელი დაფინანსების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლით გათვალისწინებული მუნიციპალიტეტებისათვის გადასაცემი ტრანსფერიდან, დროებითი

ფინანსური დახმარების სახით, არა უმეტეს 8 500 000 (რვა მილიონ ხუთასი ათასი) ლარისა გამოუყოს შემდეგ მუნიციპალიტეტებს:

ა) ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 4 000 000 (ოთხი მილიონი) ლარისა;

ბ) მესტიის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 1 500 000 (ერთი მილიონ ხუთასი ათასი) ლარისა;

გ) ზუგდიდის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 3 000 000 (სამი მილიონი) ლარისა.".

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**